ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
გენდერული თანასწორობის საბჭო

ოქმი:**ო47. 4722319001**

თარიღი:**15/11/2022**

ჩოხატაურის მუნიპალიტეტის გენდერული თანასწორების საბჭოს

სხდომის ოქმი N4

დ. ჩოხატაური 18.10.2022 წ

სხდომის თავმდომარე: ზაალ მამალაძე

სხდომის მდივანი: მარიტა მგალობლიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: ზაალ მამალაძე, მარიტა მგალობლიშვილი, მაია გიორგაძე, მარინე ბერაძე, ნინო კაპანაძე, ლაშა თოლორდავა, ნანა ცინცაძე, ქეთევან სიხარულიძე, მანანა მინდაძე, თეა მამალაძე.

სხდომას არ ესწრებიან: ჯუმბერ ბერძენიშვილი ლაშა ირემაძე, ნინო რამიშვილი, მარინე თავაძე, სოფო ჯინჭარაძე.

სხდომას ესწრებიან მოწვეული პირები, მომხსენებლები: იამზე ტაკიძე და ეკატერინე ნიკოლაიშვილი

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირ ებით :

1. გენდერული სტატისტიკის დანერგვის მიზნით სტატისტიკური სააღრიცხვო ფორმების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარიტა მგალობლიშვილი

2. 2022 წლის სექტემბერში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების კვლევის შედეგების გაცნობა.

მომხსენებლები: იამზე ტაკიძე

ეკატერინე ნიკოლაიშვილი

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი საბიუჯეტო ინიციატივების შემუშავება

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

4. გენდერული თანასწორობის საბჭოს ლოგოს შექმნასთან დაკავშირებით კონკურსის გამოსაცხადებლად საკონკურსო პირობების შემუშავება.

მომხსენებელი: ზაალ მამალძე

1. პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საბჭოს მდივანმა მარიტა მგალობლიშვილმა და საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგინა გენდერული სტატისტიკის დანერგვის მიზნით სტატისტიკური სააღრიცხვო ფორმების ნიმუშები და განმარტა, რომ წარმოდგენილია სამი ტიპის ფორმა, ესენია:

1. მუნიციპალიტეტის (მერია და საკრებულო) სტატისტიკური მონაცემების ცხრილი (ნიმუში თან ერთვის ოქმს)

2. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა) იპების გენდერული სტატისტიკის აღრიცხვის ფორმა (ნიმუში თან ერთვის ოქმს)

3. მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების გენდერული სტატისტიკის აღრიცხვის ფორმა (ნიმუში თან ერთვის ოქმს)

საბჭოს წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი სტატისტიკური აღრიცხვის ბარათების ნიმუშები და შენიშვნა ფორმების კორექტირებასთან დაკავშირებით არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი წინადადება:

გენდერული სტატისტიკის დანერგვის მიზნით სტატისტიკური სააღრიცხვო ფორმების დამტკიცების შესახებ

ჩატარდა კენჭისყრა.

მომხრე - 10

წინააღმდეგი -0

თავი შეიკავა -0

საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დამტკიცდეს გენდერული სტატისტიკის დანერგვის მიზნით სტატისტიკური სააღრიცხვო ფორმები (ფორმები თან ერთვის სხდომის ოქმს) და გადაეგზავნოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიას .

2. შემდეგი საკითხისთვის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა მომხსენებელს იამზე ტაკიძეს:

მომხსენებელმა საბჭოს გააცნო ჩატარებული კვლევის შედეგები. მან აღნიშნა: კვლევა ჩატარდა სამ ფოკუს ჯგუფთან, სხვადასხვა თემებში, კერძოდ სოფელ ქვენობნისა და ხიდისთავის თემებში, ასევე დაბაში. ფოკუს ჯგუფებს წარმოადგენდნენ შშმ პირთა დედები, წინასწარ განსაზღვრული შეკითხვებისა და მიღებული პასუხების საფუძველზე გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, საჭიროებები:

1. 18 წელს ზემოთ შშმ პირებისთვის დღის ცენტრი

2. სარეაბილიტაციო ცენტრი ყველა ასაკის შშმ პირისთვის

3. სხვადასხვა სპორტულ თუ კულტურულ წრეებში ჩართულობა. პარასპორტის სახეობები.

4. საბავშვო ბაღში სპეციალისტის მუშაობა შშმ ბავშვთან.

5. ფსიქოლოგი როგორც შშმ პირებისთვის, ისე - მათი მაშობლებისთვის.

6. ლოგოპედის მომსახურეობა

7. რადგან სარეაბილიტაციო ცენტრში დადიან მუნიციპალიტეტს გარეთ, ტრანსპორტის თანხის ანაზღაურება.

8. 1 ჯგუფის შშმ პირებისთვის სამეურვეო (მომვლელის) თანხის გამოყოფას, ისევ მშობლებისთვის.

9. ტრენინგების კურსს ადგილზე სამეწარმეო საქმიანობისთვის, პროექტების წერის სწავლებისთვის, ასევე - სხვადასხვა კურსს (მასაჟი, თერაპია....), რაც დაეხმარებათ საკუთარი შშმ შვილების დახმარებასა და შემდგომ დასაქმებაში ამ მიმართულებით.

10. მხარდამჭერის სტატუსის მოსაპოვებლად მუნიციპალიტეტს გარეთ გასვლავსთან და საბუთების მოგროვებასთან დაკავშირებით თანხის გამოყოფა (საბუთებისთვის და ტრანსპორტირებისთვის).

აქედან შშმ პირის დედების საჭიროებებია უშუალოდ:

1. ფსიქოლოგის მომსახურება შშმ პირთა მშობლებისთვის

2. 1 ჯგუფის შშმ პირებისთვის სამეურვეო (მომვლელის) თანხის გამოყოფას, ისევ მშობლებისთვის.

3. რადგან სარეაბილიტაციო ცენტრში დადიან მუნიციპალიტეტს გარეთ, ტრანსპორტის თანხის ანაზღაურება.

4. ტრენინგების კურსს ადგილზე სამეწარმეო საქმიანობისთვის, პროექტების წერის სწავლებისთვის, ასევე - სხვადასხვა კურსს (მასაჟი, თერაპია....), რაც დაეხმარებათ საკუთარი შშმ შვილების დახმარებასა და შემდგომ დასაქმებაში ამ მიმართულებით.

5. მხარდამჭერის სტატუსის მოსაპოვებლად მუნიციპალიტეტს გარეთ გასვლავსთან და საბუთების მოგროვებასთან დაკავშირებით თანხის გამოყოფა (საბუთებისთვის და ტრანსპორტირებისთვის).

აღნიშნულ საკითხზე საუბარი ეკატერინე ნიკოლაშვილმა გააგრძელა და აღნიშნა, ეს პირები, კონკრეტულად შშმ პირთა დედები არ არიან არც მუნიციპალიტეტიდან და არც ცენტრალური ბიუჯეტიდან, რაიმე დახმარების ან სერვისის მიმღებნი.

აზრი გამოთქვა, საბჭოს წევრმა, ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ხელმძღვანელმა ნანა ციხცაძემ და აღნიშნა:

კვლევის შედეგად მნიშვნელოვანი საჭიროებები გამოიკვეთა შშმ პირთა დედებისთვის, მომავალი წლის ბიუჯეტში აუცილებლად შევიტანთ სერვისს შშმ პირების დედებისთვის ზრდასრულთა განათლების ცენტრში, მათ შორის შესაძლებელია იყოს მასაჟის შემსწავლელი კურსიც , რაც ასე საჭიროებას წარმოადგენს შშმ პირებისთვის, რომ გადამზადებულმა მშობელმა ადგილზე შეძლოს ამ კურსით მიღებული ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში. ასევე შეგვიძლია გავაკეთოთ მათთვის კურსი სამეწარმეო უნარების შესასწავლად და გასაუმჯობესებლად.

საბჭოს წევრების მიერ ყურადღება გამახვილდა და დაისვა კითხვა არსებობს თუ არა შესაძლებლობა მუნიციპალიტეტში შეიქმნას პარასპორტის რომელიმე სახეობის ჯგუფი.

საბჭოს წევრმა, მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა თეა მამალაძემ აღნიშნა, რომ სამწუხაროდ ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის ცენტრალურ სპროტულ დარბაზში არ არის ადაპტირებული სივრცე სადაც შესაძლებელი იქნება პარასპორტის რომელიმე ჯგუფის გახსნა, დარბაზის რეაბილიტაციის შემთხვევაში კი შესაძლებელია გაჩნდეს ამის შესაძლებლობა.

აზრი გამოთქვა მარინე ბერაძემ და აღნიშნა, მნიშვნელოვანი საჭიროებაა შშმ პირის მშობლებს ჰქონდეთ რამე სივრცე სადაც შეძლებენ შეკრებას, ერთმანეთთან აზრის და გამოცდილების გაზიარებას, განსაკუთრებით ის მშობლები, რომელთაც უკვე არსებული 18 წლამდე შშმ პირთა დღის ცენტრში ტოვებენ შვილებს დღის ბოლომდე დალოდებისთვის ადგილიც კი არ აქვთ და ხშირ შემთხვევაში ქუჩაში ელოდებიან შვილებს.

აზრი გამოთქვა მარიტა მგალობლიშვილმა და აღნიშნა, რომ ძალიან კარგი იქნება თუ ვიმუშავებთ და შევქმნით შესაძლებლობას განსაკუთრებით შშმ პირებთან მიჯაჭვულ დედებზე, რომელთაც არ განათლების მიღების და არც დასაქმების შესაძლებლობა არ აქვთ და ყოველთვიურ შინმოვლის ანაზღაურებას მივცემთ.

სხდომის თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანი საკითხია და შესაძლებელია ვიმუშაოთ პირველი ჯგუფის შშმ პირების მოვლისთვის მათი მშობლისთვის მოვლის თანხის გადახდის შესაძლებლობაზე მუნიციპალიტეტის მხრიდან.

3. შემდეგ საკითხზე მომხსენებელმა მარინე ბერაძემ, საბჭოს განსახილველად წარუდგინა საბიუჯეტო ინიციატივები პროექტები და განმარტა, რომ საბჭომ განიხილოს ეს ინიციატივები და შემდგომ წარვადგინოთ მერიაში, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში აისახოს. ერთ-ერთი ინიციატივაა შშმ პირების დედებისთვის ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მუხლში განისაზღვროს თანხა 5000 ლარი, რომლითაც სარგებლობას შეძლებენ მხოლოდ შშმ პირების დედები, წარმოდგენილი წინადადებების მიხედვით, რათა ხელი შევუწყოთ მათ დასაქმებასა და შემოსავლის მიღებაში. მათი ეკონომიკური სიძლიერე მნიშვნელოვანია.

ასევე ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მუხლიდან 5000 ლარი განისაზღვროს "ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის“ მეწარმე ქალებისთვის კონკურსის ჩასატარებლად.

რაც შეეხება მეორე ინიციატივას ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე, კარგი იქნება თუ პირველი ჯგუფის შშმ პირების მშობლებისთვის მუნიციპალიტეტში დაინერგება სერვისი, კერძოდ შეიქმნება სივრცე ან პლატფორმა, სადაც მშობლები შეძლებენ მათი საჭიროებიდან გამომდინარე მიიღონ ფსიქოლოგის ან იურისტის მომსახურება.

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სტატუსის მქონე მარტოხელა მშობლებისთვის(დედა, მამა) და მათი ოჯახებისთვის განისაზღვროს ყოველთვიური დახმარება არანაკლებ 100 (ასი) ლარისა.

საბჭომ წარმოდგენილ ინიციატივებს მხარი დაუჭირა.

ჩატარდა კენჭისყრა.

მომხრე - 10

წინააღმდეგი -0

თავი შეიკავა -0

4. მეოთხე საკითხი წარადგინა სხდომის თავმჯდომარემ, ზაალ მამალაძემ, რომელიც ეხება

გენდერული თანასწორობის საბჭოს ლოგოს შექმნასთან დაკავშირებით კონკურსის გამოსაცხადებლად საკონკურსო პირობების შემუშავებას.

საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და შემუშავებული იქნა საკონკურსო პირობები შემდეგი მოთხოვნებით:

ლოგოს მიზანი:

ლოგოს შექმნის მიზანია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ჰქონდეს, მარტივი და უნიკალური გრაფიკული სიმბოლო;

მოთხოვნები:

· ლოგო უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე სტანდარტებს, უნდა იყოს მაქსიმალურად იდენტიფიცირებადი, მარტივი, ადვილად ცნობადი და დასამახსოვრებელი. იგი აუცილებლად უნდა უკავშირდებოდეს თავად ლოგოს იდეის უმაღლეს მიზანს, თანასწორობის გამოხატვას.

· ლოგოს ესკიზი უნდა ასოცირდებოდეს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობასთან, არ უნდა შეიცავდეს პლაგიატს და არ იწვევდეს მცდარ ასოციაციებს

· ლოგოს ესკიზში უნდა ფიგურირებდეს გენდერული თანასწორობის ამსახველი სიმბოლიკა ან მისი შემადგენელი ნაწილი;

ტექნიკური დავალება:

· საბჭოს ლოგო – გენდერული თანასწორობის საბჭოს გრაფიკული სახე, ელექტრონული ვერსია.

· ლოგოს შინაარსი – გენდერული თანასწორობის სიმბოლოების/მოტივების გათვალისწინებით შერჩეული ზოგადი მოტივები;

· ლოგოს ფერი – უმეტესად ერთფერიანი ან მაქსიმუმ სამფერიანი გამოსახულება; ფერის ცვლილება შესაძლებელია სამუშაო განხილვის დროს;

· ლოგოს ფორმა – მეტწილად წრიული ფორმის, მთლიანობის განცდით; მნიშვნელოვანია ფორმა იყოს უნივერსალური.

· ლოგოს კონცეფცია – ლოგოს შინაარსის – გრაფიკული გამოსახულების მოკლე ტექსტური აღწერა: რატომ, რა დატვირთვისა და ემოციის მატარებელია

კონკურსში გამარჯვებული ლოგოს ავტორი დაჯილდოვდება 300 (სამასი) ლარით. გამარჯვებულს გამოავლენს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო ხმათა უმრავლესობით.

ლოგოს ელექტრონული ვერსია უნდა გადმოაგზავნოთ ელექტრონულ მისამართზე: chokhatauri.gts@gmail.com .

ნამუშევრების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2022 წლის 15 ნოემბერი

ჩატარდა კენჭისყრა.

მომხრე - 10

წინააღმდეგი -0

თავი შეიკავა -0

მიღებულია გადაწყვეტილება კონკურსის ჩატარების შესახებ შემუშავებული საკონკურსო პირობების შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ზაალ მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
გენდერული თანასწორობის საბჭო-საბჭოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი